

ანგარიში

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული
მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი: მამუკა მიქაუტაძე

თანამდებობის დასახელება: საკრებულოს წევრი

საანგარიშო პერიოდი: - 2016 წელი

კომისი(ებ)ის დასახელება: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე

ფრაქციის დასახელება: ფრაქცია „ქართული ოცნება“ -ს წევრი

- საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 24 სხდომა (10 რიგითი და 14 რიგგარეშე)

საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 17 სხდომა

ბიუროს სხდომის რაოდენობა - 21 სხდომა

ბიუროს სხდომაზე დასწრება - 16 სხდომა

- სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 18 სხდომა

კომისიის სხდომებზე დასწრება:

- საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ ჩატარდა 18 სხდომა

დავესწარი - 17 სხდომას

- სულ ფრაქციის სხდომის რაოდენობა - 5 სხდომა

ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 5 სხდომა

- საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მხარდაჭერილი იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები და სოციალური პროგრამები.

ინფრასტრუქტურული პროექტები: საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა; გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; ქუჩებში ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებისა და საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი აღნიშვნების მოწყობა; საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა; წყლისა და სანიაღვრე/საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია; ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა და სხვა.

სოციალური პროგრამები: განათლება - მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ხელშეწყობა - პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გადის 125-მდე ბენეფიციარი.

საკრებულოს მხარდაჭერა ჰქონდა ასევე ისეთ პროგრამებს როგორცაა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა; სპორტის განვითარების ხელშეწყობა; სასპორტო სკოლების ხელშეწყობა; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება, რომლითაც გათვალისწინებულია - არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- საკრებულოს წევრის მიერ სააგნარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით და სხვა ნორმატიული აქტებით.

ქალაქ რუსთავის საკრებულო აქტიურად თანამშრომლობს უცხოელ კოლეგებთან. დამეგობრებულ ქალაქებს შორის ხორციელდება გაცვლითი ხასიათის სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. ამის მაგალითია საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა კონგრესის 30-ე სესიაში და ტორონტოში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ფინანსთა მოხელეთა სახელმწიფო ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად განხორციელებული ვიზიტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ორგანიზებით გაიმართა 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის საჯარო განხილვები. ცალ-ცალკე გაიმართა ბიუჯეტის ინფრასტრუქტურული, სოციალური და ჯანდაცვისა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა ნაწილების განხილვა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. ბიუჯეტთან დაკავშირებული შენიშვნები და რეკომენდაციები აისახება ბიუჯეტის საბოლოო პროექტში, რომელსაც საკრებულო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დაამტკიცებს. ჩვენ, ასევე მოვისმინეთ და შევაფასეთ ა(ა)იპ-ებისა და შპს-ების ხელმძღვანელთა და თანამდებობის პირთა ანგარიშები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დაბრუნდეს უკან, შემდეგი კორექტირებით:

1. ქალაქის მერის მიერ წარმოდგენილ რუსთავის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი სოციალური პროგრამები:

- ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზარდების (მწვავე პერიოდში) მკურნალობის ორთვიანი პროგრამა (30 მოზარდზე x 600=18000 ლარი);

- რეინტეგრირებული ოჯახების კომუნალური გადასახადებში დახმარების პროგრამა (16 ოჯახი x 500=8000 ლარი);

- სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა (6 ახალგაზრდა x 1000=6000 ლარი);

- აუტიზმით გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამა (6000 ლარი);

- საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის პრობლემის მქონე შშმ პირთა სამკურნალოსარეაბილიტაციო პროგრამა (100 პირი x 600 =60000 ლარი).

2. „მოქალაქეთა მედიკამენტებით დახმარების პროგრამაში“ შევიდეს ცვლილება და ბენეფიციარის სარეიტინგო ქულა განისაზღვროს 0-დან 100000-მდე.

3. ა(ა)იპ „საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანებაში“ შეიქმნას მულტიდისციპლინური გუნდი 3 (სამი) ფსიქოლოგის შემადგენლობით (3 x 500 x 12 =18000 ლარი).

დამატებითი ხარჯების დაფინანსების წყაროები უნდა მოიძებნოს შემოსავლების გაზრდისა და შიდა რესურსების საფუძველზე.

რაც შეეხება ფრაქცია „ქართული ოცნება“, ფრაქციის წევრებთან ერთად აქტიურად ვმუშაობ სხვადასხვა თემებზე, ფრაქციის სხდომებზე ვაფიქსირებ ჩემს პოზიციებს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.

ამასთან, რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი კომისიის (ფრაქციის) და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, საკრებულოსა და მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.